



რუსთაველის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი განვითარების

დოკუმენტი

(2024 – 2027)

სარჩევი

შესავალი	1
➤ დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები	2
➤ დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან.	2
1. სიტუაციის ანალიზი	4
1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.....	4
1.1.1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება	4
1.1.2. ბუნებრივი რესურსები.....	4
1.1.3. მუნიციპალიტეტის დემოგრაფია.....	5
1.1.4. მუნიციპალიტეტის შრომითი რესურსები	10
1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	14
1.2.1. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა	14
1.2.2. სოფლის მეურნეობა.....	20
1.2.3. ტურიზმი და მომსახურების სფერო.....	27
1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა	32
1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	35
1.4.1. ჯანმრთელობის დაცვა.....	35
1.4.2. სოციალური უზრუნველყოფა	39
1.5. განათლება, კულტურა და სპორტი.....	42
1.6. ახალგაზრდობა.....	44
1.7. გარემოს დაცვა.....	46
1.8. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა.....	48
1.9. SWOT ანალიზი.....	54
2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები, ამოცანები.....	56
2.1. ხედვა.....	56
2.2. მიზანი და ამოცანები.....	56
2.3. ლოგიკური ჩარჩო.....	59
3. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.....	67
3.1. დოკუმენტის განხორციელება.....	67

3.2. მონიტორინგი და შეფასება	68
4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.....	69
დანართები.....	71

შესავალი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (MDD) ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც ეფუძნება სიტუაციის ანალიზს, მუნიციპალიტეტის რესურსულ შესაძლებლობებს და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

დოკუმენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის 2024 -2027 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვით მდგრადობას და გაუმჯობესებულ ციფრულ მმართველობას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოამზადა მერის 2023 წლის 20 მარტის ბრძანებით (ბ.46.46230794) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის თავმჯდომარეა მერის პირველი მოადგილე. ჯგუფის წევრები არიან მერი და მისი მოადგილე, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები, სამოქალაქო და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრები.

სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიზნები და შესაბამისი ამოცანები.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც მათ მიერ სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო განხილვების დროს გამოითქვა. <https://chokhatauri.gov.ge/?p=6633>

შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები და საბიუჯეტო ორგანიზაციები.

➤ დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020- 2025 წლების სტრატეგიაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძვლებს ასევე წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის #264 განკარგულების („მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს; 2022 წლის 15 თებერვალი) საფუძველზე. დოკუმენტი ასევე, პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG).

➤ დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან.

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით,

მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული, სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილება;
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია;
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებული იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ფისკალური ჩარჩო.

1. სიტუაციის ანალიზი

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

1.1.1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია მოიცავს 825 კვ.კმ-ს, საიდანაც 65% ტყის ფართობია. ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მუნიციპალიტეტი თბილისიდან დაშორებულია 296 კმ-ით, ხოლო უახლოესი სარკინიგზო კვანძიდან (საჯავახო) – 20 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სამტრედია-ქობულეთი 25 კმ-იანი მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის 3 სოფელი (ჩხაკაურა, ქვაბლა, ზოტი) და 1 დაბა (ბახმარო) მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაშია, სადაც მთის კანონი მოქმედებს.

1.1.2. ბუნებრივი რესურსები

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის დიდი და აუთვისებელი პოტენციალი წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კუთხით. სოფელ დიდი ვანის ტერიტორიაზე მოსაპირკეთებელი ქვის რესურსია, სანისლიაში სამკურნალო თბილი და ბალნეოლოგიური წყლები, ს. ბუკნარში გოგირდოვანი წყლები, ს. შუაგანახლებაში ლაშქის აბანოების რესურსი, ს. დიდ ვანში სულფიდური ტიპის მინერალური წყლები, ს. ზემოსურებში (ნამანები) ნახშირმჟავას ტიპის მინერალური წყლები, სოფ. ერკეთში (ჯვრის მთა) სულფიდური ტიპის მინერალური წყალი და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი საკურორტო ზონაა: ბახმარო და ნაბელავი, სადაც მინერალური და მტკნარი წყლები მოიპოვება.

სოფ. ზოტიდან 15 კმ-ში ზემოთ არის საკურორტო ადგილი სანისლია, სადაც ქანებიდან გამოდის სამკურნალო თბილი წყალი. ბალნეოთერაპიისა და სამკურნალო ფისკულტურის განყოფილების, ასევე ჰიდრომინერალური რესურსების შემსწავლელი განყოფილების დასკვნის საფუძველზე, თბილი წყლები გამოდის, როგორც ძირითად ქანებში გაჩენილი ნაპრალებიდან, ისე მდინარეული ნაყარი მასალიდან. ტიპიური ანალიზის საფუძველზე სანისლიის წყალი ასპინძისას ემსგავსება, ჩანს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყლის ტიპი და მინერალიზაცია უცვლელია. სანისლიის ბალნეოლოგიური წყლები კურნავს

საყრდენ-მამოძრავებელ ორგანოებს, პერიოდული ნერვული სისტემის ქრონიკულ და ანთებით დაავადებებს. საჭიროა მისი კლინიკური და ექსპერიმენტული შესწავლა. სოფელ ბუკნარის გოგირდოვანი წყალი გამოიყენება კუჭნაწლავის და ალერგიული გამონაყარის დროს, შუაგანახლებაში ლაშქის აბანოები გამოიყენებოდა რევმატიული-ართრიტისა და სახსრების სამკურნალოდ. აბანოს ესაჭიროება რეაბილიტაცია.

ზოგიერთი მათგანი წლების წინ ბალნეოლოგიური მიზნითაც გამოიყენებოდა (შემორჩენილია ადრე არსებული ინფრასტრუქტურის ნანგრევები). რესურსის ეფექტიანად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას არსებული წყაროების პოტენციალი, კერძოდ, მათი მინერალიზაცია და შემადგენლობა, დებეტი, ბალნეოლოგიური და სამკურნალო თვისებები, სასმელად ან სამკურნალო გამოყენების შესაძლებლობა. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი საინვესტიციო პროგრამების მომზადების რეალური წინაპირობის შექმნას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. თავის მხრივ ინვესტიციების მოზიდვა ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მათ შორის მაღალმთიან სოფლებში (ზოტი, სურები).


ამჟამად ამ წყლებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლეთა რაოდენობა მცირეა. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია ბუნებრივ რესურსების მოპავებასთან დაკავშირებული ლიცენზიები, მათი რაოდენობისა და დანიშნულების შესახებ **იხ. დანართი 1.**

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ჰიდროენერგეტიკული რესურსი, რასაც მთის ჩქარი მდინარეები უზრუნველყოფენ. კერძოდ: სოფელ ხევში მცირე ჰესის „ნაბელავჰესი“ გამოიმუშავებს 2 მგ/ვატ ელექტროენერგიას, სოფელ მეწითში „საშულა ჰესი“ გამოიმუშავებს 12,5 მგ/ვატ ენერგიას, ასევე მშენებლობის პროცესშია „ზოტი ჰესი“, რომლის სიმძლავრე 45 მგ/ვატ-ია.

1.1.3. მუნიციპალიტეტის დემოგრაფია

2023 წლის 1 იანვრის სტატისტიკის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 17,3 ათასია (რეგიონის მოსახლეობის 17%), აქედან დაბაში 1500 ადამიანი ცხოვრობს (8,6%), ხოლო სოფლად - 15800 (91,4%). 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით ჩოხატაურის მოსახლეობა 19 001 ადამიანს შეადგენდა.


დიაგრამა 1.



წყარო: საქსტატი¹

მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის განმავლობაში (2018-2022 წწ.) 4%-ით შემცირდა. შემცირების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (-4%) და 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 21 კაც/კვ.კმ-ზე.

დიაგრამა 2.




წყარო: საქსტატი

2014 წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში 9778 ქალია, ხოლო 9203 კი - კაცი.

¹ მოსახლეობის რიცხოვნობა წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით; ასევე საქსტატის ყველა მონაცემი წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით.


დიაგრამა 3.



წყარო: საქსტატი 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი 42,7 წელია, საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი - 38,1 წელი.


დიაგრამა 4.



წყარო: საქსტატი, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით


მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (სხვაობა შობადობასა და გარდაცვლილთა შორის) არ ჩამორჩება ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტების მონაცემებს. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მთელი ქვეყნის მაჩვენებელში 0,4%-ია.

დიაგრამა 5.



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 6.



წყარო: საქსტატი

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2018 წლიდან 2023 წლის 1 იანვრამდე 8%-ით გაიზარდა და 936 ბენეფიციარია. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას, მოცემული დროის მონაკვეთში შემცირდა 0.37%-ით (4 585 პენსიონერი) და რეგიონის მასშტაბით პენსიონერთა საერთო რაოდენობის 17%-ია.


დიაგრამა 7.



წყარო: საქსტატი

შიდა მიგრანტების რიცხოვნობა 2014 წლის აღწერის მონაცემებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 565 მოქალაქეა. შიდა მიგრანტების დიდი წილი მოდის თბილისიდან და გურიის სხვა მუნიციპალიტეტებიდან საცხოვრებლად გადმოსულ მოქალაქეებზე.

დიაგრამა 8.




წყარო: საქსტატი, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით

1.1.4. მუნიციპალიტეტის შრომითი რესურსები

მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალის, უმუშევრობის და დასაქმების დონის მაჩვენებლების ანალიზის და შესაბამისი დაშვების მიზნით, გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები რეგიონალურ ჭრილში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა შემდეგი მაჩვენებლები, როგორცაა: რეგიონის მოსახლეობა და 15+ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, სამუშაო ძალა, დასაქმებული და უმუშევარი რეგიონში. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

დიაგრამა 9.




წყარო: საქსტატი

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობის 76%-ია.

2021 წლის მონაცემებით კერძო სექტორში 1645 ადამიანი, ხოლო საჯარო სექტორში 1200 მოქალაქე იყო დასაქმებული. 2021 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 1028 ადამიანი შეადგინა, ხოლო ბიზნეს სექტორის დაქირავებულთა რაოდენობამ კი - 617 ადამიანი. სულ ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა შეადგინა 1645 ადამიანი. 2022 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე გურიის რეგიონის მასშტაბით 12,3% იყო.


დიაგრამა 10.



წყარი: საქსტატი

ქვეყნის მასშტაბით დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით იძლევა ზოგად სურათს, თუ რომელი დარგებშია დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული მონაცემები არ არსებობს რეგიონის და მით უფრო მუნიციპალიტეტის მასშტაბით და შესაბამისად, ქვეყნის სტატისტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ მაჩვენებლის მუნიციპალიტეტზე განზოგადება. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში 229 ათასი, აქედან ქალი 84 ათასი ქალი, ხოლო კაცი 145 ათასი. აღსანიშნავია, რომ ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი არის განათლების სფეროში, ხოლო კაცების დასაქმები მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სფეროში.


დიაგრამა 11.



წყარი: საქსტატი

მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკა ცნობილი არ არის, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილია გურიის რეგიონის მონაცემები.


დიაგრამა 12.



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების ხარჯების სტატისტიკა ასევე არ არის, ამიტომ ქვემოთ მოცემულია გურიის რეგიონის მონაცემები. რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ძირითადად 49% დაქირავებულ შრომაზე მოდის, 18% კი - პენსიაზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის.


დიაგრამა 13.



წყარო: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო ხარჯებს უჭირავს.


დიაგრამა 14.



წყარო: საქსტატი

მთელი რეგიონის მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 52% სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე მოდის, 12% ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო 1% კი - განათლებაზე. ერთი შინა მეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი სურსათზე 348 ლარია.

დიაგრამა 15.




წყარო: საქსტატი

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

1.2.1. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

მცირეა ჩოხატაურში მოქმედი საწარმოების რაოდენობა, მხოლოდ რამდენიმე დიდი და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტი მუშაობს. მათ შორის მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოება „წყალი მარგებელი“ (მინერალური წყლის „ნაბელღავის“ ჩამოსასხმელი ქარხანა) და ხილის გადამამუშავებელი საამქრო „ნენა“ (მურაბების, ჯემების, ხილფაფების, წარმოება) და თხილის გადამამუშავებელი საწარმო „მეგაგრო“. ასევე ფუნქციონირებს ქვიშა-ხრემის მომპოვებელი კარიერები და გადამამუშავებელი საწარმოები. არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობას ძირითადად საცალო ვაჭრობის ობიექტები, სხვადასხვა სერვისები, საკვები ობიექტები და საოჯახო ტიპის სასტუმროები ეწევიან. სულ 438 მოქმედი ბიზნეს სუბიექტია მუნიციპალიტეტში, აქედან მსხვილი საწარმოა 2, საშუალო ზომის - 4, ხოლო მცირე საწარმო - 432.


დიაგრამა 16.



წყარო: საქსტატი

2020 წლიდან გაზრდილია ბიზნეს სექტორის ბრუნვა, 2021 წლისთვის 106,4 მლნ. ლარს შეადგენს, რეგიონის მასშტაბით ბიზნეს სექტორის ბრუნვაში ჩოხატაურის წილი 2021 წლისთვის 16,7%-ია.


დიაგრამა 17.



წყარო: საქსტატი

ამასთან, გაზრდილია ბიზნეს სექტორის გამოშვების მაჩვენებელი ლარებში, 2021 წლისთვის 122 მლნ. ლარია, რაც გურიის რეგიონში ბიზნეს სექტორის გამოშვების წილის 23,9%-ია.

დიაგრამა 18.




წყარო: საქსტატი

2022 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 16,25 %-ია და 42,8%-იანი ზრდით ხასიათდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით (2018-2022წწ.). მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, რაც 2022 წლისთვის 310 ობიექტს შეადგენს და 2018 წლიდან 2022 წლამდე სექტორი გაზრდილია 23,5%-ით. 44,7 %-იანი ზრდით ხასიათდება დამამუშავებელი მრეწველობა, რაც 2022 წლისთვის შეადგენს 68 საწარმოს დამამუშავებელი მრეწველობა და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 14.8 % მოდის.

საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს ბიზნეს სექტორის 1028 ადამიანი იყო დაქმებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, რაც რეგიონის წილის 11,9%-ია.

დიაგრამა 19.



წყარო: საქსტატი


მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მონაცემები გენდერულ ჭრილში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არ არის, ამიტომ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა რეგიონალურ ჭრილში მაჩვენებლები და მის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

ცხრილი 1.

	ქალი	კაცი	სულ
გურია	3 004	5 663	8 667
მსხვილი	366	574	940
საშუალო	598	1 019	1 617
მცირე	2 040	4 070	6 110

წყარო: საქსტატი


დიაგრამა 20.



წყარო: სამუშაო ჯგუფის შეფასებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი 2021 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირდა.


დიაგრამა 21.



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია შრომის საშუალო ანაზღაურება.


დიაგრამა 22.



წყარო: საქსტატი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2021 წელს 47 მილიონი ლარია, რაც რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების 21,9%-ია. პანდემიის გათვალისწინებით 2019 და 2020 წელთან შედარებით შემცირებულია.


დიაგრამა 23.



წყარო: საქსტატი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 2019 და 2020 წელთა შედარებით შრომითი დანახარჯები შემცირებულია.


დიაგრამა 24.



წყარო: საქსტატი

მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 12 მლნ. ლარს შეადგენდა, რაც რეგიონის 36,7%-ს შეადგენდა, 2021 წელს კი 5 მლნ. ლარის ინვესტიციები განხორციელდა.

დიაგრამა 25.



წყარო: საქსტატი

1.2.2. სოფლის მეურნეობა


ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას აკისრია. ძირითადად განვითარებულია შემდეგი დარგები: მეხილეობა, მემარცვლეობა (სიმინდის მოყვანა), მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან და რელიეფიდან გამომდინარე კარგი რესურსი არსებობს იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას და კულტურების მრავალფეროვნებას.

ცხრილი 2. მეურნეობების რაოდენობა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწით მიწათსარგებლობის ფორმებისა და რეგიონების მიხედვით (ათასი ერთეული)							
2021							
	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით, დაუმუშავებელი მიწის გარდა	მათ შორის				დაუმუშავებელი მიწა
			ერთწლიანი კულტურებით ნათესი მიწა	ერთწლიანი ბალახებით ნათესი მიწა	მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა	სათიბ-საძოვარი	
საქართველო	546,6	494,1	413,3	5,8	263,6	77,8	310,3
გურია	32,0	30,9	27,3	0,0	24,3	1,5	25,2


აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური მიწის მთლიანი ფართობი 82510 ჰა. აქედან დაახლოებით 21% (17326 ჰა) შეადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. 11847 ჰა გამოიყენება სათიბ-საძოვრად. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების 43% (7458 ჰა) კერძო საკუთრებაა, დანარჩენი (9886 ჰა) კი სახელმწიფო კუთვნილებაა. სახნავი მიწა შეადგენს 2764 ჰა. მრავალწლიანი კულტურებს უკავია 4084 ჰა, ხოლო 2532 ჰა ერთწლიანი კულტურებისათვისაა განკუთვნილი.

- ✓ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი.
- ✓ ტყის ფონდი - 54850 ჰა.
- ✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 7316 ჰა
- ✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 311 ჰა.
- ✓ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 72 ჰა.
- ✓ კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (მ.შ. გენდერულ ჭრილში) - 7542 ჰა
- ✓ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი

დიაგრამა 26.



დიაგრამა 27.



- *მევენახეობა/მელვინეობა*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ნიშის დაკავება შეუძლია მელვინეობის სექტორში. მართალია, დარგში წარმოებული პროდუქტის რაოდენობით ვერ იქნება გამორჩეული, თუმცა ვაზის ენდემური ჯიშები, როგორც არის ჩხავერი, ჯანი, სხილათობანი, ცოლიკაური, ალადასტური და სხვა, იძლევა შესაძლებლობას იწარმოოს მაღალი ხარისხის და გამორჩეული ნიშის ღვინო. მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს და განვითარდეს მუნიციპალიტეტში დღეს მოქმედი 10-მდე მარანი. ამჟამად ძველი ენდემური ჯიშების აღდგენა კერძო მეწარმეების მიერ საკუთარი ინიციატივით ხდება, რაც დარგში არსებული პოტენციალის გამოყენებისთვის საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო თუ საერთაშორისო მხარდამჭერი პროგრამების მიწოდება დამწყები და მოქმედი მევენახეებისთვის, რათა ხელი შეეწყოს ნერგების შექმნაში, ვენახის გასაშენებლად პირველადი სამუშაოების დაფინანსებაში, თანამედროვე ტექნოლოგიების და უნარჩვევების ჩამოყალიბებაში და საექსპორტო ბაზრის ათვისებაში.

- *მრავალწლოვანი კულტურები*

მუნიციპალიტეტში მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანას, როგორც ხეხილოვან კულტურებს, ასევე ციტრუსს, ჩაის და კენკრას.

მუნიციპალიტეტში მეთხილეობა წამყვანი მიმართულებაა გაშენების ფართობის, მიღებული მოსავლის და დარგით მზარდი დაინტერესების კუთხით. კულტურა გაშენებულია 2042

ჰექტარზე, ხოლო მოსავლიანობა 2350 ტონას შეადგენს. გამოწვევაა არასათანადო მოვლაპატრონობა, არასაკმარი შეწამლა და მუშახელის დეფიციტი. სახელმწიფოს მიერ 2023 წელს განხორციელდა პროგრამა, რომლის ამოცანაა, თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით, თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა მეთხილეს, რომლის გაშენებული თხილნარის ფართობი მინიმუმ 2000 კვ.მ.- ს შეადგენდა, ფინანსური დახმარება გაეწია 50 ქულის/ლარის ფარგლებში ყოველ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ ჩატარდა კონსულტაციები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, აგრო კრედიტებზე წვდომის და კულტურის სათანადო მოვლა პატრონობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მთიანი რელიეფიდან გამომდინარე კარგი შესაძლებლობა იქნებოდა დრონით შეწამვლის სერვისის დანერგვა.

მუნიციპალიტეტში არის თხილის გადამამუშავებელი საწარმო, მაგრამ ნაკლებია მიმართვიანობა მეთხილეების მხრიდან. იმისათვის, რომ ქარხნამ მისაღები ფასი შესთავაზოს ფერმერებს, შესაძლებელია ქარხანას სახელმწიფოს მიერ გაეწიოს სუბსიდირება აღებული სესხის პროცენტისთვის.

ცხრილი 3. მეურნეობების რაოდენობა ხეხილის ბაღებით, ხეხილის ბაღების ფართობი და ძირების რაოდენობა რეგიონების მიხედვით				
2021				
	მეურნეობების რაოდენობა, ხეხილის ბაღებით (ათასი ერთეული)	ხეხილის ბაღების ფართობი (ათასი ჰა)	მრავალწლოვან ნარგავებში ხეხილის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)	ხეხილის ბაღებში ხეხილის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)
საქართველო	146,7	77,4	41 336,3	34 408,0
გურია	21,3	7,9	5 113,4	4 646,1

მუნიციპალიტეტში დიდი პოტენციალი აქვს მეჩაიეობის აღორძინებას, მდიდარი ტრადიციების და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ფონზე. ამჟამად მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 2 შ.პ.ს. და 1 გაერთიანება, რაც არსებული რესურსის მხოლოდ მცირედით გამოყენებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ არსებობს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 3 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელ მეჩაიეს

სთავაზობს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. ამ პროექტით სარგებლობის კუთხით გამოწვევად რჩება პოტენციური ფერმერების მიერ საჭირო ფართობის მიწის ნაკვეთის არ ქონა და ასევე მათი კოოპერატივად გაერთინების სურვილის ნაკლებობა. საჭიროა მეჩაიეობის სფეროში არსებული შესაძლებლობების პრომოუტირება და სფეროს პოპულარიზაცია.

ცხრილი 4.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში თანადაფინანსებული ბენეფიციარების მონაცემები 2016 წლიდან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

მუნიციპალიტეტი	ხელშეკრულებების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)	ინვესტიციის ოდენობა (ლარი)
ჩოხატაური	1	1	5,15	10 300	12 875

- *ერთწლოვანი კულტურები*

ერთწლოვანი კულტურების მოყვანის კუთხით მუნიციპალიტეტში წამყვანი ადგილი უკავია მესიმინდეობას, რომელიც ყოველწლიურად 2100 ჰექტარზე ითესება.

მუნიციპალიტეტში დიდია დაინტერესება მოცვის კულტურის განაშენიანების კუთხით, გამომდინარე მისი მაღალი საბაზრო ფასიდან და მუნიციპალიტეტში მოცვის კულტურისთვის არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში მოცვი გაშენებულია 29.50 ჰექტარზე, რაც შესაძლებელი გახდა სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალს“ ფარგლებში გაწეული ხელშემწყობი ღონისძიებების შედეგად. ამ სფეროს განვითარების და არსებული შედეგების შენარჩუნების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია სამაცივრე მეურნეობის არარსებობა. ფერმერები კოოპერატივები ვერ შექმნეს, რათა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამით“ ესაგებლათ. მთლიან დასახლებებში გარკვეული რაოდენობით იწარმოება კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული.

- *მეცხოველეობა*

მეცხოველეობას მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა ოჯახური მეურნეობა ეწევა, თუმცა მეტად საკუთარი მოხმარებისთვის, ვიდრე ფართო სამომხმარებლო ბაზრებზე

სარეალიზაციოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რესურსი იძლევა დარგის უფრო მეტად განვითარების საშუალებას, რაც 11847 ჰექტარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დამწყები და მოქმედი ფერმერები აწყდებიან ისეთ გამოწვევებს, როგორცაა ახალი ჯიშების შესყიდვა, აგროკრედიტებზე წვდომა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უნარჩვევების ცოდნა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამების მიწოდება. დარგში არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხებია აგრონომიული/ვეტერინარული და საკონსულტაციო მომსახურების ნაკლებობა. მეცხოველეობის განვითარების სტიმული იქნება მუნიციპალიტეტში ვეტერინალური მომსახურეობის და ხელოვნური განაყოფიერები სერვისის შექმნა, რაც ერთი მხრივ მოაგვარებს ვეტერინალურ პრობლემებს, ხოლო მეორე მხრივ თანდათანობით გააუმჯობესებს პირუტყვის ჯიშურ მონაცემებს და გაზრდის მათ მწარმოებლობას.

- *მეფუტკრეობა*

განვითარების კარგი პოტენციალი აქვს მეფუტკრეობას. მუნიციპალიტეტში არსებული თაფლოვანი მცენერების მრავალფეროვნება და მეფუტკრეობის მიმართ მზარდი ინტერესი ამ დარგის განვითარების მაღალ შესაძლებლობებს ქმნის. საჭიროა მეფუტკრეობის ბაზის შესწავლა და დარგში არსებული მიღწევების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება, როგორცაა მეფუტკრეობაში თანამედროვე უნარჩვევების და კომპეტენციის ამაღლება, პროდუქციის საექსპორტოდ შესაბამისი ხარისხის და პროდუქციის ექსპორტზე გატანის უზრუნველყოფისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება, მეფუტკრეობის მხარდამჭერ სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. დარგის შემდგომი განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია თაფლის ხარისხის ლაბორატორიის შექმნაც. აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერის პროგრამაში ჩართულობა შეზღუდულია მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არარსებობით, რაც პროგრამაში მონაწილეობის მიღების მთავარი პირობაა. აღნიშნული გარემოება ქმნის კოოპერატივების შექმნის პოპულარიზაციის საჭიროებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

- *მეთევზეობა*

მუნიციპალიტეტის მდინარეები პერსპექტიულია თევზსაშენი მეურნეობის განვითარებისთვის, სწორი სტრატეგიული მიდგომის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის

შექმნით (სიმღვრივის პრევენცია, წყლის ტემპერატურის კონტროლი) შესაძლებელია მეკალმახეობის განვითარება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება სარეალიზაციო კალმახის მნიშვნელოვანი რაოდენობის წარმოება. მუნიციპალიტეტის მდინარეები და ეკოლოგიურად სუფთა გარემო პერსპექტიულია თევზსაშენი მეურნეობის განვითარებისათვის, სწორი სტრატეგიული მიდგომის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით (სიმღვრივის პრევენცია, წყლის ტემპერატურის კონტროლი) შესაძლებელია მეკალმახეობის განვითარება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება სარეალიზაციო კალმახის მნიშვნელოვანი რაოდენობის წარმოება. აღსანიშნავია ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული საკალმახე მეურნეობის წარმატების მაგალითი, როდესაც 50000 ლარის გრანტმა მეწარმეს საშუალება მისცა განეხილათ არსებული მცირე საკალმახე, რის შედეგადაც წლიურად მიღებულმა პროდუქციამ 600 კილოგრამიდან 10 ტონას მიაღწია. ანალოგიური ხელშემწყობი პროგრამები მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მუნიციპალიტეტში ამ დარგის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის კულტურების მიერ დაკავებული სავარაუდო ფართობისა და მიღებული მოსავლის შესახებ ინფორმაციისთვის **იხ. დანართი 3.**

- *გადამამუშავებელი საწარმოები*

მუნიციპალიტეტში გამოწვევაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით ხილი) პროდუქტების სახით, როგორც ნედლეული, გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამამუშავდება სხვა რეგიონებში. მუნიციპალიტეტში არსებული ხეხილი, რომელიც ძირითადად კურკოვან თესლოვანი ჯიშებით შემოიფარგლება, თითქმის არ გამოიყენება. იყიდება მხოლოდ მცირე რაოდენობა, მზადდება ჯემები, კომპოტები და საწებლები, დანარჩენი გამოიყენება უმთავრესად პირუტყვის საკვებად.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს. საირიგაციო სისტემა მუნიციპალიტეტში არ არის, თუმცა მისი არსებობა დიდ გავლენას მოახდენთა სოფლის მეურნეობის დარგის მოსავლიანობასა და პროდუქტიულობა (იხ. დანართი 4 - მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნეს სუბიექტები).

1.2.3. ტურიზმი და მომსახურების სფერო

მუნიციპალიტეტის კურორტები და ტურისტულად საინტერესო ღირსშესანიშნაობებია: ბახმარო, ნაბეღლავი, გურული ერისთავების ციხე, გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი და სხვა.

ბახმარო, ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს, გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი მარადმწვანე მცენარეებით, ზევით კი ულამაზესი ალპური ზონა იწყება. გაეროს განვითარების პროექტის დაფინანსებით აქცენტი კეთდება კურორტის განვითარებაზე, რისთვისაც მოეწყობა საკენპინგე-მოსასვენებელი, სავაჭრო და სანიტარულ - ჰიგიენური ინფრასტრუქტურა ცხრაწყარო-ბახმაროს მონაკვეთებსა და დაბა ბახმაროში შერჩეულ ლოკაციებზე.

დაბა ბახმაროს კურორტი ვიზიტორებს მასპინძლობს როგორც ზაფხულში, ასევე ზამთრის სეზონზეც. ვიზიტორთა რიცხვი ზაფხულის პერიოდში დაახლოებით 16,0 ათასია, ხოლო ზამთრის სეზონზე - 1,8 ათასი.

ნაბეღლავი გუბაზეულის ხეობის ულამაზესი ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 470 მეტრის სიმაღლეზე, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივში, მთის სწრაფი და ანკარა მდინარე გუბაზეულის სანაპიროზე. ხასიათდება უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით, ძვირფასი მინერალური სამკურნალო წყლებით. ნაბეღლავის წყალი წარმატებით გამოიყენება კუწ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, თირკმელების, ძვალ-სახსრების, კანის, ნერვიული სისტემის დაავადების სამკურნალოდ. დროთა განმავლობაში იზრდება დამსვენებელთა რიცხვი მუნიციპალიტეტში


(აღნიშნული შეიძლება ითქვას მუზეუმებში აღრიცხვის საფუძველზე და ზოგადი დაკვირვებით).

სრიგპ პროგრამის ფარგლებში დასრულების ფაზაშია სოფელ გორაბერეჟოულში **გურული ერისთავების** სასახლის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროცესი. სრულად აღდგა ერისთავების სასახლის მარანი და სამეურნეო დანიშნულების სივრცეები. ავთენტური წყობით რეაბილიტირდა და კონსერვირებულ იქნა სასახლის გალავანი მისი გარსშემოსავლელებითა და სათოფურებით. სასახლის ეზოში მოეწყო ქვაფენილები, გაიწმინდა არსებული ქვევრები და მწვანე საფარით კეთილმოეწყო ტერიტორია.

მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტია გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი, რომელშიც გაშენებულია ულამაზესი მრავალი ჯიშის იშვიათი მრავალწლოვანი მცენარეებით: სამი საუკუნის მუხა, ფანქრის ხე, კამფეტის ხე, სექვოია გიგანტი, იაპონური მარწყვის ხე, გინკო და მრავალი სხვა წიწვოვნებიდან ფოთლოვნებში გარდამავალი სახეობა. ორკეს ტყე-პარკი სოფ. ზემოხეთში ზღვის დონიდან 800 მ. მდებარეობს.


მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობაა შუაფარცხმის ტყე-პარკის რეაბილიტაცია.

დიაგრამა 28.



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 29.



წყარო: საქსტატი

მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსის ცნობადობის გაზრდაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. ამ მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და გააძლიერებს კომუნიკაციას უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებთან.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროცესში მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ახორციელებს თანადაფინანსებას ისეთი პროექტების, რომლებიც სწავლობს ტურისტულ პოტენციალს, ორიენტირებულია ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნასა და პოპულარიზაციაზე, ადგილობრივი მოსახლეობის იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმებასა და ჩართვაზე ტურისტულ ბიზნესში, რომლებსაც არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა გააჩნიათ შრომის ბაზარზე. არსებობს ასეთი უკვე განხორციელებული პროექტის წარმატებული მაგალითი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მიმზიდველია ტურისტებისთვის ტურისტული ძეგლებით, არსებული ეკლესია-მონასტრებითა და ისტორიული ადგილებით (იხ. დანართი 5).

ტურისტული მარშრუტები

მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილებია: სანისლია, დიდივანი, შუა ამაღლება, შუაგორა, ბუკნარი, ორკე.

საინტერესო ტურისტული მარშრუტებია:

- ჩოხატაური - სურები - მეფისწყარო, ჯაჯის ტბა;
- ჩოხატაური - ნაბელღავი - ბახმარო;
- ჩოხატაური - ხიდისთავი - გორთაფონი - ბახმარო;
- ჩოხატაური - ზოტი - სანისლია;
- ჩოხატაური - შუაამაღლება (უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი);
- გორაბერეჟოულის ტყე-პარკი - ერისთავების ციხე-სიმაგრე - დენდროლოგიური პარკი.

ფეხით ლაშქრობისთვის გამორჩეულია: ერკეთი, შუასურები, ზემოსურები, ხიდისთავი, ხევი, ბჟოლიეთი, ბუქსიეთი, ნაბელღავი, ზოტი; ხოლო ცხენით ლაშქრობისთვის - ზოტი, კიდობანა, გრძელი გორი, ბახმარო, ხიდისთავი-გორთაფონი, სათიკნია-ბახმარო, ზემოსურები, შუაგორა-მეფის წყარო-ჯაჯის ტბა;

ჯომარდობის მოყვარულთათვის საუკეთესოა მდინარე სუფსისა და გუბაზეულის ხეობა.

ფრინველებზე დაკვირვებისთვის, აღსანიშნავია, შუაგანახლება (უდაბნო).

საკემპინგე ადგილებია ნაბელღავში, ბახმაროში, შუაგორასა და ორკეში.

ვიზიტორებისთვის საინტერესო ადგილია:

- ჯაჯის ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 2700 მეტრზე მდებარეობს;
- **ჩანჩქერები:** ნაბელღავი, ქვაბლა, ჩხაკაურა, ზოტი, დიდივანი, იანეული. ოჩიჩქინას ჩანჩქერი - სოფელ საჭამიასერში და საჩიჩქინა - სოფელ გოგოლესუბანში;
- მდინარე გუბაზოული - „Sun Set“;
- გურის ტბა - სოფელი ბუკისციხე;
- ხიდისთავი - კალაშას ხეობა;
- სიპები - სოფელი კოხნარი;
- სოფელი ზემოხეთი - „სადათვიას“ ჩანჩქერი;
- სოფელი ზემოფარცხმა - „ქვაბული ვანწყარო“;
- სოფელი შუაფარცხმა - „ჭინკეს ქვა“ - მდინარე ორპირა;
- ნაბელღავი - ქარხანა - მინერალური და მთის წყაროს წყალი ბახმარო;
- წყლის წისქვილები: დაბლაციხე, იანეული, დიდივანი, ვაზიანი, ზოტი

მუზეუმები

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს 2022 წლის 520 ინდივიდუალური დამთვალეირებელი სტუმრობდა, ხოლო საექსკურსიო დამთვალეირებელთა რაოდენობამ 680 ადამიანი შეადგინა. მუზეუმმა უმასპინძლა 55 ექსკურსიას.

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს საშუალოდ წლის განმავლობაში დაახლოებით 10 000-მდე ვიზიტორი სტუმრობს. მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმს 2022 წელს ესტუმრა 277 დამთვალეირებელი, ხოლო ნიკო მარის სახლ-მუზეუმს - 273 დამთვალეირებელი.

ცხრილი 5.

მუზეუმებში ვიზიტორების რაოდენობა 2021-2022 წლების მიხედვით			
	მუზეუმები	რაოდენობა (ერთეული)	
		2021 წ.	2022 წ.
1	მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი	198	177
2	ნიკო მარის სახლ-მუზეუმი	200	273
3	ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი	8000	10000
4	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	520	1200

მომსახურების სფერო

დაბა ჩოხატაურში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

მუნიციპალიტეტში სუსტად არის განვითარებული ტურისტული მომსახურების ისეთი სერვისები, როგორცაა საკვები ობიექტები, სუვენირების მაღაზიები, ტუროპერატორები, გიდის მომსახურება.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 კაფე, 4 რესტორანი, სწრაფი კვების 7 ობიექტები.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარდა დაბა ბახმაროსა მოქმედებს 20-ზე მეტი სასტუმრო, აქედან უმეტესობა საოჯახო ტიპისაა. ოთახების საერთო რაოდენობა დაახლოებით 110-ია, ხოლო საწოლების რაოდენობა - 250. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ორ სასტუმროს გააჩნია

მცირე საკონფერენციო დარბაზი. მუნიციპალიტეტში გამოწვევად რჩება 20 საწოლზე მეტი განთავსების შესაძლებლობის მქონე სასტუმროების არარსებობა (*იხ. დანართი 6 - საოჯახო სასტუმროები*).

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის 70კმ. გადის, ადგილობრივი მნიშვნელობის და მათ შორის საუბნო გზები კი 1646 კმ.-ია. აქედან 35% - 576 კმ. სრულად რეაბილიტირებულია და მოწყობილია ასფალტო-ბეტონის საფარით, ხოლო 65% - 1070 კმ. მოწყობილია ხრეშოვანი გზით.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ინფრასტრუქტურა. სოფლებში დაიგო 7 კმ სიგრძის ასფალტო- ბეტონის გზა. ვანზომლეთი-ამალღების მიმართულებით, გზების დეპარტამენტის მიერ, 10 კმ მონაკვეთზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი, შეიცვალა წყალგამტარი არხები და ხიდები. აშენდა 12 ახალი ხიდი, აქედან 6 სამანქანო, ხოლო დანარჩენი საფეხმავლო.

წყალმომარაგება

მუნიციპალიტეტის წყლის ძირითადი არტერიებია მდინარე სუფსა 108 კმ. და მდინარე გუბაზეული 55 კმ.

მდინარე გუბაზეულზე აიგო ახალი წყალმომარაგების სადგური, რომელიც 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს დაბისა და ახლომდებარე სოფლების წყალმომარაგებას. დამატებით მიმდინარეობს დაბის წყალმომარაგების მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში შეიცვალა და განახლდა 10 კმ სიგრძის წყლის სისტემები.

ამჟამად მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა მოიცავს: დაბის წყალსადენი - 47000 გრძ/მ; ხიდისთავის წყალსადენი - 20000 გრძ/მ; შუაფარცხმის წყალსადენი - 7000 გრძ/მ.; შუაგანახლება - 20000 გრძ/მ; კოხნარის წყალსადენი - 4000 გრძ/მ; ზემო ფარცხმა - 7000 გრძ/მ; ბასილეთი - 12000 გრძ/მ.

შესაბამისად, მოსახლეობა დაბაში წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილია 100% - ით, ხოლო სოფლად წყალმომარაგების სისტემით მოსახლეობა უზრუნველყოფილია 30% -ით. დანარჩენი მოსახლეობა სარგებლობს არტეზიული ჭებით და წყაროს წყლებით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლად წყალმომარაგების ქსელი საჭიროებს მნიშვნელოვან გაფართოებას, მოსაწყობია დაახლოებით 35 კმ. ქსელი.

საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრში, რომელზეც დაერთებულია რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი და სხვადასხვა ობიექტი. საკანალიზაციო არხები და მილები მიერთებულია 4 სხვადასხვა სეპტიკზე, რომლებიც არის მოძველებული და ვერ უზრუნველყოფს თავის ფუნქციის შესრულებას გამწმენდი ნაგებობა.

გარე განათება

ელექტროენერგია მიეწოდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს. გარე განათების ქსელი მოწყობილია დაბა ჩოხატაურის ყველა ქუჩაზე, 50 სოფელში მოწყობილია გარე განათების ქსელი. ერთეულებში. მუნიციპალიტეტში მთლიანი ნათურების რაოდენობა შეადგენს 6000. აქედან მაღალეფექტური ლედ ნათების (ეკო ნათურა) არის 700 ცალი. გარე განათების ქსელის სიგრძე შეადგენს 450 კმ.

დაბა ბახმაროში განხორციელდა არსებული პარკის რეაბილიტაცია და მთავარი ქუჩა აღიჭურვა 450 ნათურის ლედ განათების სისტემით. გარე განათებასთან მიმართებაში აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის მიდგომა ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვის და პოპულარიზაციის კუთხით. მუნიციპალიტეტსა და სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ენერგოეფექტური ღონისძიებები, კერძოდ: 2022-2023 წელს მოხდა არსებული და ახალი გარე განათების სისტემის აღჭურვა თანამედროვე ლედ სანათებით მუნიციპალიტეტის სამ სოფელში.

განხორციელებული პროექტები

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტში 2020-2023 წლებში განხორციელებული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

აშენდა 3 ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 საბავშვო ბაღს.

„განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს დაბა ჩოხატაურის ცენტრალური ნაწილის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რაც მოიცავს: ცენტრალური მოედნის, ხელოვნების სასახლის წინ მდებარე პარკის, საფეხმავლო ტროტუარების მოწყობას და ცენტრალური გზის გასწვრივ მდებარე მოსახლეობის ღობეების განახლებას.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდა 6 პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა ტურისტული და ბიზნეს გარემოს განვითარების ხელშეწყობას. პროექტების მთლიანი ჯამური ღირებულება 4,892,667 ლარია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ნაპირდამცავი, გარე განათების, წყლის სისტემის რეაბილიტაციის, სოფლის კულტურის სახლების რეაბილიტაციის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

მიმდინარე წლიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი თანააპლიკანტ ორგანიზაციებთან ერთად (პროგრესისი სახლი და სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში) ახორციელებს ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის - „ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში შემუშავებულ პროექტს - „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“. პროექტის ღირებულება 2218953 ლარია. პროექტის მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და განახლებადი ენერჯის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება საზოგადოების სამი სექტორის (მთავრობა, ბიზნესი, CSO) ჩართულობით. პროექტი განხორციელდება 3 წლის განმავლობაში.

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მუნიციპალური ტრანსპორტი. მოსახლეობას სატრანსპორტო მომსახურებას უწევს ს.ს. „ტრანსპორტელი“. მუნიციპალიტეტის შიდა სამარშუტო მომსახურების სიგრძე 150 კმ-ია, გარე სისტემა კი 1700 კმ, მგზავრობის რაოდენობა კვირაში 1200 ადამიანია, ტრანსპორტის სახე ძირითადად მიკროავტობუსებია. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სოფელში მოსახლეობას სატრანსპორტო მომსახურება მიეწოდება ყოველდღიურად, მინიმუმ დღეში ერთი რეისი მოთხოვნის შესაბამისად.

კერძო ტრანსპორტიდან პირადი მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა 3300 ერთეულია, ტაქსების - 50, სატვირთო ავტომანქანების -230.

არის მ

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო ორგანიზაცია არ არსებობს, იგი ხორციელდება უშუალოდ წარმოება-ორგანიზაციათა საკუთარი ან იჯარით აყვანილი ტრანსპორტით.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო ტრანსპორტით, რაც მოიცავს ბავშვების დაბაში ტრანსპორტირებას წრეებზე სასიარულოდ. ასევე მოძრაობს კერძო სამარშრუტო ტრანსპორტი, რომლებიც აკავშირებს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებს.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

დაბის ტერიტორიაზეა ნინო რამიშვილის სახელობის ხელოვნების სასახლე, რომელიც გათვლილია 350 ადამიანზე. აქ ტარდება მნიშვნელოვანი კულტურული და სხვა ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის ტურისტულ-გასართობი ინფრასტრუქტურაა: თანამედროვე ხელოვნების ინტერნეტ გალერეა; სპორტული დარბაზები; ანა კალანდაძის სკვერი (1757კვ.მ); ნოდარ დუმბაძის სკვერი (4434 კვ.მ.); 9 აპრილის სკვერი (2008 კვ.მ.); ნოე რამიშვილის სკვერი (1053 კვ.მ.); სკვერი წერეთლის ქუჩაზე (2853 კვ.მ.); სკვერი კოსტავას ქუჩაზე (1674 კვ.მ); სკვერი სოფ. ხიდისთავში (2200 კვ.მ.); შუა ფარცხმის ტყე-პარკი (49398 კვ.მ.); გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი (116822 კვ.მ.); ორკეს ტყე-პარკი ზემოხეთში (7000 კვ.მ.); კრიმანჭულის პარკი დუმბაძის ქუჩაზე (3196 კვ.მ.); სკვერი კურორტ ბახმაროში (2730 კვ.მ.). აღსანიშნავია, რომ შუაფარცხმის ტყე-პარკის გარდა, ყველა სკვერი მოწესრიგებულია და შექმნილია კომფორტული გარემო დასვენებისა დაა გართობისთვის.

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

1.4.1. ჯანმრთელობის დაცვა

მუნიციპალიტეტის მოქმედებს და ადგილობრივი მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებას იღებს ორ სამედიცინო დაწესებულებაში. შპს „მედალფა“ ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრი და შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“. აღნიშნულ დაწესებულებაში 48 საწოლია, ხოლო

საწოლებით უზრუნველყოფა 100 მოსახლეზე 38, რაც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია 13 ერთეულით. შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ 2022 წ. გადამზადდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (Emergency) მიმართულებით ოთხი ექიმი და სამი ექთანის რადიოლოგიაში. გაიხსნა კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი და ახალი ციფრული რენდგენის განყოფილება. წელს გაიხსნება ახალი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება (Emergency), მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი რეანიმაციული განყოფილება და ამოქმედდება მამოგრაფიის კაბინეტი.

შპს „მედალფას“ ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრში 2022 წელში გაიხსნა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება (Emergency) და გადამზადდა 5 (ხუთი) ექიმი. შემენილია კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი. დაგეგმილია ახალი სერვისები: ტრამვატოლოგია; უროლოგია; ლაპარასკოპიული ქირურგია.

სამედიცინო დაწესებულებაში ექიმთა რაოდენობაა 73, რაც ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია 20 ერთეულით. ჯანდაცვის პერსონალის რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე (წლის ბოლო) 72-ია, ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პირველად სამედიცინო მომსახურებას უწევს სოფლის ექიმი. შვიდ სოფელში არსებული ამბულატორიის შენობები უკვე რეაბილიტირდა და დაფინანსდება ერთი ახალი ამბულატორიის მშენებლობა. საყურადღებოა ის, რომ ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა მხოლოდ კვირაში ერთხელ იღებს ექიმის მომსახურებას.

მოსახლეობას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მხრივ გადაუდებელ დახმარებას უწევს სსიპ საარსებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული სამსახური. ამ მხრივ მოსახლეობას ემსახურება სამი ერთეული სასწრაფო დახმარების მანქანა. განახლებას საჭიროებს ცენტრის ავტოპარკი (ორი სპეც.ავტომანქანა). გამოწვევად რჩება რეანომობილის და სამშობიარო სახლის არარსებობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის პრიორიტეტულია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტში დაბალია კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა. მოსახლეობა ძირითადად სახელმწიფო სადაზღვეო პაკეტებით სარგებლობს.

მოსახლეობის უმეტესობა, ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობის დროს, მკურნალობისათვის ბათუმის, ქუთაისის ან თბილისის საავადმყოფოებს მიმართავს. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კომპლექსური სამედიცინო მომსახურებისათვის უნდა გადაიდგას ნაბიჯები სამედიცინო კადრების გადამზადებისა და პროფესიული განვითარებისათვის ძლიერი მუნიციპალური საავადმყოფოს შესაქმნელად.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ სამსახურში მომართვიანობა 2022 წელს 62,585 იყო, , რაც სამი წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია (3 975). გაიზარდა სასწრაფო დახმარების გამოძახებაც (აღრიცხვა დაუზუსტებელია). რაიონის სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით: შაქრიანი დიაბეტი აქვს 1215 პირს, რაც 2019 წელთან შედარებით შემცირებულია. ასევე შემცირებულია გულის იშემიური დაავადება რაც შეადგენს 222-ს, პირველად დადგენილი გულის მწვავე ინფარქტი, ცერებრალური დაავადებები, ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსის მქონე პაციენტები. გაზრდილია ავთვისებიანი სიმსივნითა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა რიცხვი. ენდემური დაავადებიდან დამახასიათებელია ჩიყვი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს წითელი ჯვარი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს, სადაც ჩართული არიან როგორც ახალგაზრდა მოხალისეები, ასევე ორგანიზაციის ბენეფიციარები.

ცხრილი 6.

წყარო - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დასახელება	2019	2020	2021
ექიმების რაოდენობა	92	84	65
საავადმყოფოები და სამედიცინო ცენტრები	2	2	2
საწოლების რაოდენობა	38	48	66
საექთანო პერსონალის რიცხოვნობა	60	81	62
ჯანდაცვის პერსონალის რიცხოვნობა (ექიმები, საექთანო პერსონალი) მოსახლეობის 1000 კაცზე	8,4	9,2	7,2
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე	1,9	2,7	3,8
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების რაოდენობა	21	21	22

ექიმების რაოდენობა მუნიციპალიტეტში არსებულ ორ კლინიკაში სპეციალისტების მიხედვით

ცხრილი 7.

N სპეციალისტების დასახელება

ექიმთა რაოდენობა

ექთნების

რაოდენობა

1	ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი	6	32
2	თერაპევტი	10	
3	რადიოლოგი	6	
4	პედიატრი	9	
5	ფსიქიატრი	1	
6	ოფთალმოლოგი	4	
7	ანგიოლოგი	2	
8	დერმატო-ვენეროლოგი	2	
9	ინფექციონისტი	2	
10	ექიმი ლაბორანტი	4	
11	ნევროლოგი	3	
12	ონკოლოგი	1	
13	ფსიქიატრი	1	
14	ქირურგი	7	
15	კარდიოლოგი	3	

1.4.2. სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება წარმოადგეს და შესაბამისად, მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს ახორციელებს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა სახის დახმარებები, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებს.

სოციალური პროგრამის ბიუჯეტი 2022 წელს 2020 წელთან შედარებით 402 ათასი ლარით გაიზარდა. მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე გაიხარჯა 562 ათას ლარზე მეტი, ხოლო 348,7 ლარი მოხმარდა ოჯახების და ბავშვების სოციალურ დაცვას. სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების, შშმ პირების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ახალშობილთა ოჯახების და განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე პირთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას.

საქართველოს კანონის „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად ერთჯერადად ფინანსდება სიღარიბეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, მათზე გათვალისწინებული ფულადი დახმარება 800 ლარია. 2023 წელს პროგრამაში ჩაერთნენ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს და ფინანსურად ეხმარება ა(ა)იპ განათლების „დღის ცენტრის“ და საქართველოს წითელი ჯვრის ჩოხატაურის ფილიალის ფუნქციონირებას.

სოციალურად დაუცველთა რაოდენობა, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მცირედით შემცირდა.

ცხრილი 8.

სოციალური დაუცველის სტატუსის მქონეთა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში											
წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა	906	893	897	870	869	859	864	921	955	945	936
---	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრები, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა მუნიციპალიტეტისთვის.

2024 წლიდან გათვალისწინებული იქნება შრომით მიგრაციაში მყოფი მოქალაქეების არასრულწლოვანი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება, ასევე მნიშვნელოვანია სოციალური სერვისების მიწოდება ხანდაზმული პირებისა და შშმ ადამიანებისათვის. ამჟამად მოქმედი შშმ პირთა და ხანდაზმულთა სერვისებით მხოლოდ 20 ბენეფიციარი სარგებლობს. მუნიციპალიტეტში ირიცხება 87 იძულებით გადაადგილებული პირი (34 ოჯახი). აღნიშნული პირები მუნიციპალიტეტში ინდივიდუალურად არიან ჩასახლებულები. მათთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი დახმარება და ზამთრის სეზონისათვის საშუალოდ მერქნით უზრუნველყოფა, ასევე სარგებლობენ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით. მნიშვნელოვანია, რომ არსებითად ერთნაირ პირებში მყოფ პირებს თანაბარი წვდომა ჰქონდეთ შესაბამის დახმარებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ მოქმედი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.

მუნიციპალიტეტში მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი. მოსახლეობის რაოდენობა 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 17,300-ია, აქედან ასაკის პენსიის მიმღებთა რაოდენობა 4592, ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 26,5%-ია. საარსებო შემწეობის ოჯახების რაოდენობა 992, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღები პირების 936-ია. ძალზე დაბალია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, მოსახლეობის (1000 კაცზე) 2022 წელს 18,5, ხოლო შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ცოცხლად დაბადებულთა რიცხვიანობა მოსახლეობის 1000 კაცზე 9,1-ია. ბუნებრივი მატების უარყოფითი დინამიკის უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების შიდა და გარე მიგრაცია და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაა. მიგრაციული პროცესები, ძირითადად გამოწვეულია რთული

სოციალური მდგომარეობით, დასაქმების მცირე პერსპექტივით. შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, საქართველოს დიდ ქალაქებში და საზღვარგარეთ მიემართება.

აუცილებელია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სერვისების განვითარება. განსკუთრებით კი შშმ პირთა და ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისების დანერგვა. ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები (მ.შ. დენი მარფანის სინდრომი, აუტიზმი, ცერებრული დამბლა და სხვა) ადრეული ჩართვა სერვისებში. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მორგებული პროგრამის მომზადება.

გასათვალისწინებელია ეკომიგრანტთა წინაშე არსებული პრობლემები, კერძოდ ეკორისკების პრევენცია, გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების შესრულება, რომელიც ვერ სრულდება ბიუჯეტში შესაბამის ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.

მნიშვნელოვანია ბავშვიანი ოჯახების სოციალურ და ეკონომიურად გაძლიერებაზე ორიენტირებული და მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური სერვისების განვითარება.

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია საშუალო და სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და ახალი საბავშვო ბაღების აშენება მუნიციპალიტეტში.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის 545 ბავშვი (მათ შორის ბიჭი 215, გოგო 330) და 21 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაა, საბავშვო ბაღები ჩართული არიან ავტორიზაციის პროცესში, მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების ხედვის ჩამოყალიბება და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადება სახელმწიფო სტანდარტთან შესაბამისობაში, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა ახლად აშენებულ ბაღებში (8 საბავშვო ბაღი) ზოგადი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ახლად აშენებულ და დაბის ტერიტორიაზე არსებული ბაღებია აღჭურვილი ახალი ინვენტარით. თუმცა, სკოლამდელი განათლების სერვისი ყველა სოფელში არ არის ხელმისაწვდომი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 31 საჯარო და ერთი კერძო სკოლაა: 32 სკოლიდან 22 სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს საშუალო საფეხურზე, ხოლო დანარჩენში საბაზო საფეხურზე.

8 საჯარო სკოლა ჩართულია ავტორიზაციის პროცესში, დაგეგმილია სოფელ შუა ფარცხმაში ახალი სკოლის აშენება, ვანზომლეთის, ბუკისციხის, სამების საჯარო სკოლებში მიმდინარეობს შენობების სრული რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება 2023 წლის სექტემბერში. დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლაში, გორაბერეჟოულის, ბუკნარის, კოხნარის, ხიდისთავის, იანეულის, გოგოლესუბნის და საჭამიასერის საჯარო სკოლებში დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოები. კვლავაც უწყვეტად მიმდინარეობს საბაზო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეებისათვის და პირველკლასელებისათვის კომპიუტერების გადაცემა. წარმატებით მიმდინარეობს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, სერვისით 2280 მოსწავლე სარგებლობს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კოლეჯ „ჰორიზონტის“ ჩოხატაურის ფილიალი, სადაც ექვს პროფესიას ეუფლებიან ადგილობრივი ახალგაზრდები. დაგეგმილია მოკლევადიანი პროგრამების დამატება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას და დასაქმებას.

არაფორმალური განათლების მიღების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მუნიციპალიტეტში არსებული „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“. აღნიშნულ ცენტრში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სახელოვნებო კურსების შეთავაზება, კერძოდ: კომპიუტერული, ბუღალტრული, მართვის მოწმობის ბილეთების და უცხო ენის სწავლება, ჭრა-კერვა და თექაზე მუშაობა. იგეგმება სხვადასხვა პროფესიული კურსების დამატება.

კულტურისა და სპორტის სერვისები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელოვნებო (მუსიკალური, სამხატვრო) სკოლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, არის 19 ბიბლიოთეკა, ახლად აშენებული კულტურის სახლი, კინო-თეატრი, ხელოვნურ საფარიანი სტადიონი, ბ. პაიჭაძის სახ. ცენტრალური სტადიონი, სასპორტო სკოლა, თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა, კულტურის ცენტრი და მასში შემავალი ანსამბლები. ასევე, ოთხი მუზეუმი: ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი, ნიკო მარის სახლ-მუზეუმი, მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი.

მუნიციპალიტეტში არ არის საკმარისი სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურა. თითქმის ყველა საჯარო სკოლაში საჭიროა სპორტული მოედნის მოწყობა.

ცხრილი 9.

სახელოვნებო და სპორტული სერვისით რაოდენობა	სულ	ბიჭი	გოგო
სამხატვრო სკოლა	153	87	66
სამუსიკო სკოლა	117	41	76
მოსწავლე ახალგაზრდობა	96	24	72
სპორტი	300	170	130

წყარო: მუნიციპალიტეტის მერია

1.6. ახალგაზრდობა

მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების 2021 წლის კვლევა, რომელიც მომზადდა კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“-ს მიერ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთვის. აღნიშნული კვლევის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები და მიგნებები:

- ✓ ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 52%-ია ინფორმირებული;
- ✓ ყველაზე სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად უმრავლესობის მიერ (46%);
- ✓ მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლის ტიპის დასახლებებში, ზოგადად სამუშაო ადგილების სიმწირეა ნებიმისმიერ სფეროში და დაბალი ანაზღაურება;
- ✓ დამსაქმებლის პირობებს დასაქმებულები იშვიათად აპროტესტებენ და მაინც თანხმდებიან დაბალ ანაზღაურებას მაღალი სამუშაო დატვირთვის პირობებში;
- ✓ პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (61%). ამასთან, სტაჟირების/სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა (58%) და ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა (48%);
- ✓ სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (54%); მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან თითქმის ყველა დაკავებულია სპორტით(28%);
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ✓ ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა სივრცეები შეკრებებისთვის (40%), ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (35%), ასევე თუ ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი (34%). ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები 26%-მა დაასახელა მნიშვნელოვნად;

- ✓ რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (81%);
- ✓ ახალგაზრდებმა არ იციან ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ და არ ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი უფლების თაობაზე.
- ✓ გამოკითხულთა 31% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 19% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში;
- ✓ მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის განმავლობაში 51%-ს აქვს, 49%-ს კი - არა;
- ✓ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (44%). ამასთან, 29% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მეხუთედი კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის (20%);
- ✓ დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 77% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად ყველაზე სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- ✓ ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული (47%). ამასთან, 24%-ია დაინტერესებული ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით ისევე, როგორც ზოგადად პოლიტიკით საქართველოში (24%);
- ✓ უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დადებითია რეგიონში. ამასთან, პირადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი უფრო მაღალია (84%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (63%) თუ ქვეყნის (59%) შემთხვევაში.

აღნიშნული პრობლემები თანაბრად მნიშვნელოვანია ორივე სქესის წარმომადგენელთათვის (როგორც ახალგაზრდა ქალებისთვის ისე ახალგაზრდა კაცებისთვის).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის შექმნილი იქნება თანაბარუფლებიანი, თანასწორი და გენდრულად დაბალანსებული გარემო, მხარდაჭერილი იქნება მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

1.7. გარემოს დაცვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლისა და ტყის რესურსებით. ზედაპირული წყლები წარმოდგენილია მდ. გუბაზოურისა და მდ. სუფსის აუზით. მუნიციპალიტეტში არის სამრეწველო, სუბალპური და დაცული ტყეები. ტყის ფონდის საერთო ფართობი 54850 ჰა-ია, სატყეო მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არის.

ბუნებრივი საფრთხეებიდან მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარეთა ნაპირების ჩარეცხვა და გვალვა. ძლიერი წვიმების დროს ხშირია წყალდიდობები. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებსა და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას, წყალდიდობისა და მეწყერის დროს ზიანდება შიდა სასოფლო გზები.

მუნიციპალიტეტში არ არის საკანალიზაციო სისტემა და ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეებში.

ნარჩენების მართვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ემსახურება ა(ა)იპ ჩოხატაურის სერვისცენტრი.

2017 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების შეგროვება და უსაფრთხო უტილიზაცია მუნიციპალიტეტის მასშტაბით. განახლებულია ავტო პარკი და ჩანაცვლებულია ყველა ამორტიზირებული ნაგვის ურნა ახლით. დანერგილია მოსაკრებლების საგადასახადო სისტემა.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისის მოსახლეობის 75%-ს მიეწოდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 314 ნაგვის ურნა, რომელსაც 4 ნაგავმზიდი მანქანა ემსახურება, აქედან 3 კომპაქტორია. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების

საერთო მოცულობაა - 7400 მ.კვ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულია 26861 ლარი.

მუნიციპალიტეტში არის ლიცენზირებული ნაგავსაყრელი სოფელ ბუკნარში, ცენტრიდან 8 კმ-ის დაშორებით. ნაგავსაყრელის საერთო ფართობი 11971 კვ.მ-ია. ამასთან სოფლებში არის სტიქიური ნაგავსაყრელები, რაც გამოწვეულია ნარჩენების უკონტროლო ყრით. ამ პრობლემის მოგვარებისთვის საჭიროა დამატებით 150 კონტეინერი, რათა მოსახლეობამ სრულად მიიღოს სერვისი. ამასთან, სასურველია 2 ერთეული კომპაქტორი მანქანის დამატება. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი იქნება მთლიანი მუნიციპალიტეტის მოცვა ნარჩენების მართვის სერვისით, რაც გააუმჯობესებს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ტურისტულ მიმზიდველობას და საცხოვრებელ გარემოს. ამ პროცესთან ერთად საჭიროა გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, საგანმანათლებლო და დასუფთავების ღონისძიებების ჩატარება, რომელშიც აქტიურად იქნებიან ჩართული სხვადასხვა თაობისა და პროფესიის წარმომადგენლები.

გარემოსდაცვითი პროექტები

პონტოს მუხის აღკვეთილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაარსდა 2019 წელს. მისი ფართობია 443 ჰექტარი. იგი არის ერთადერთი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც პონტური მუხის (ლათ. Quercus pontica; K.Koch) კორომები შედარებით დიდ ფართობზეა გავრცელებული.

აღკვეთილის შექმნის მიზანია გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული, საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი მცენარის, უნიკალური ტყისა და მისი ეკოსისტემის დაცვა და შენარჩუნება. დაარსების პროცესშია გურიის ეროვნული პარკი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ტერიტორიას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia“, რომელიც თანადაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის კონფედერაციისა და საქართველოს მთავრობების მიერ. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში სატყეო სექტორის მხარდაჭერა, კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელებაში წვლილის შეტანა. პროექტი ტყის აღდგენის, ტყის კარგვის შემცირების, ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციის გზით ხელს შეუწყობს ტყის ნახშირბადის მარაგების გაზრდას, ასევე დაეხმარება ენერგო ეფექტური და ალტერნატიული საწვავისთვის ბაზრის განვითარებას, საცხოვრებელი პირობების

გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდას ტყის მდგრად მართვაში, ცნობიერების ამაღლების, პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების მეშვეობით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი „მერების შეთანხმება აღმოსავლეთით“ ხელმომწერი გახდა 2017 წლის 31 მარტს. მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებებს გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერი მიზნად ისახავს 2030 წლისთვის შეამცირონ CO₂-ის ემისიები მინიმუმ 30%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

დღეის მდგომარეობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“, რომელიც უნდა დამტკიცდეს საკრებულოს მიერ. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობით (ადგილობრივი მოსახლეობა, ქალები, ახალგაზრდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი).

მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავება წარმოადგენს მერების შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

1.8. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერი. მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მათი საჭიროებიდან გამომდინარე მიმართონ თითოეულ მათგანს წერილობითი და პირისპირ შეხვედრის ფორმით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმებია დანერგილი: დასახლების საერთო კრება; პეტიცია; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; მუნიციპალიტეტის საკრებულოს და

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა; ბიუჯეტის საჯარო განხილვა.

გარდა ზემოაღნიშნული სერვისებისა, მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობაში განხორციელებაში მონაწილეობის დამატებითი ფორმები: სამოქალაქო ბიუჯეტი; ახალგაზრული მრჩეველთა საბჭო; საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონით დადგენილ ვადაში; მოქალაქეთა მიღების დღე.

მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა; მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება და მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირება; ტურიზმის განვითარების მიზნით, საინფორმაციო/ელექტრონული გზამკვლევების შექმნა; გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება; მაღალმთიანი დასახლებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით ახორციელებს მოსახლეობისათვის სხვადასხვა სერვისების მიწოდებას, კერძოდ:

- ✓ სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირება;
- ✓ მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ საბიბლიოთეკო მომსახურების, სამუზეუმო ფონდის დაცვისა და თანამედროვე სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება და მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- ✓ მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს:

- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობას და დაავადებების პრევენციას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით; აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას;
- ✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ინიციატივითა და მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის უცხოეთიდან დაბრუნებულ მიგრანტებს, მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში არსებული სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამების/პროექტებისა და მათში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ. ცენტრში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: პირადი დოკუმენტების აღება/განახლება/აღდგენა; საცხოვრისით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები; უძრავი (მიწის, შენობის) და მოძრავი (სატრანსპორტო საშუალებები) ქონების რეგისტრაცია; სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია; საქართველოში მოქმედი გადასახადები და შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები; საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისა და მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის; ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამები/პროექტები (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური); სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართვის პირობები და პროცედურები; პროფესიული სწავლების მოკლევადიანი კურსები; უცხოეთში მიღებული განათლებისა და არაფორმალური განათლების აღიარება; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები და მათში ჩართვის პირობები და პროცედურები (ეროვნული, მუნიციპალური); სოციალური პროგრამები (ეროვნული, მუნიციპალური); დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები; საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამები. გადამზადებული


თანამშრომლები მოქალაქეებს აწვდიან არა მარტო მათ საჭიროებებზე მორგებულ სანდო ინფორმაციას, არამედ ეხმარებიან მოქალაქეებს შესაბამის პროგრამაზე, უწყებასა და/ან ორგანიზაციაში გადამისამართებაში. მომსახურების მიღება შეუძლია მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მაცხოვრებელს;

- ✓ 2020 წლიდან მუნიციპალიტეტში დაინერგა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებული საქმიანობების ახალი ელექტრონული სისტემა „MSDA”, რომელსაც საქმისწარმოების პროგრამის გარდა აქვს შემდეგი მოდულები: ონლაინ განცხადებები; მუნიციპალური კალენდარი; შენი იდეა მერს; ინფრასტრუქტურული პროექტების მინოტორინგი; ინტერაქტიური რუკა. აღნიშნული მოდულები გამოყენება გაცილებით გაზრდის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას, მათი სრულად ამოქმედების შემდეგ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ, ასევე მომზადებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.


დიაგრამა 30.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2023 წლის ბიუჯეტი (დაზუსტებული)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წლისთვის 15 745,8 ათასი ლარია, აქედან შემოსავლები 15 345,8 ათასი ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 400,0 ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან 2023 წელს დარჩენილი ნაშთისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვა მოხდება ბიუჯეტში.


დიაგრამა 31.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი


ქვემოთ მოცემულია დიაგრამა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების გადასახდელების მაჩვენებლის შესახებ. 2024 წელს არაფინანსური აქტივების ზრდა მნიშვნელოვნად გაიზრდება, ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამორიცხული კაპიტალური ტრანსფერებით.

დიაგრამა 32.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია

დიაგრამა 33.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

1.9. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მოწესრიგებული შიდა და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები და სანიაღვრე არხები; • დაბის მასშტაბით მოწესრიგებული წყლის სისტემა და ენერგოეფექტური გარე განათების სისტემა; • მუნიციპალიტეტის სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ფოთის და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან და ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან; • ბიზნესისადმი მეგობრული გარემო; • სოფლის მეურნეობის განვითარებული დარგები (ენდემური ვაზის ჯიშების მევენახეობა, მეთხილეობა, მეჩაიეობა, კენკროვანი კულტურები, მესაქონლეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა); • პროფესიული სასწავლებელი “ჰორიზონტი” • მინერალური და სამკურნალო წყლების მდიდარი რესურსი და კომპანია „წყალი მარგებელი“ როგორც მუნიციპალიტეტის მთავარი ბრენდული ნაწარმი; • ჰიდრო რესურსი მცირე ჰესებისათვის (მოქმედი ორი ჰესი) • ცნობილი კურორტები მზარდი ტურიზმის პერსპექტივით და მრავალფეროვანი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები; • კურორტ ბახმაროს, როგორც ზამთრის კურორტად განვითარების მზარდი პოტენციალი; • ტყის რესურსი; • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმრავლე და ინკლუზიური სწავლების დანერგვის კარგი მაჩვენებელი; • ბაღების ავტორიზაცია; • კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების მრავალფეროვნება; • სასოფლო სამედიცინო ამბულატორიები; 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი); • მწირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ეკონომიკაში; • მუნიციპალიტეტის მწირი საბიუჯეტო შემოსავლები. • მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე; • მუნიციპალიტეტში სამაცივრე მეურნეობის არარსებობა; • არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა და ტურისტული მომსახურეობა; • პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე და ფერმერთა აგრარული ცოდნის დაბალი დონე; • საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების არარსებობა; • ხელოვნურად დაბინძურებული გარემო და ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა; • მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტული კლუბების არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • სკოლებში თანამედროვე ლაბორატორიების ნაკლებობა; • სოციალური სერვისების ნაკლებობა; • სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების არარსებობა; • დიალიზის კაბინეტის არარსებობა; • რეანომობილის არარსებობა; • სოფლებში სასმელი წყლის სისტემების გაუმართაობა და ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობა; • ტყის რესურსის მართვა;

<ul style="list-style-type: none"> • ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა; • დაბის მასშტაბით წვდომა ოპტიკურ ბოჭკოვან ინტერნეტზე; • მრავალფეროვანი სპორტული და კულტურული წრეები ტრანსპორტირების უზრუნველყოფით; • ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი 2022-2024; • ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო; • მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა; • მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP); • მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი SDG; • შიდა ელექტრონული მმართველობა 	<ul style="list-style-type: none"> • სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკების პრევენციის არარსებობა; • სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო საჭირო ტექნიკის სიმცირე; • სამუშაო ძალის გადინება; • სოფლად ინტერნეტიზაციის დაბალი მაჩვენებელი; • გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; • მუნიციპალიტეტში არსებული მიწის მუნიციპალურ საკუთრებაში არარსებობა;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ვაზის ენდემური ჯიშების გამოყენებით მეღვინეობის ფართო განვითარების შესაძლებლობა; • მეფუტკრეობის განვითარება და პროდუქციის ექსპორტირება; • დაფნის კულტურის გაშენების პერსპექტივა; • არსებული მინერალური და მტკნარ წყლების მაღალი საინვესტიციო პოტენციალი; • ჩაის პლანტაციების დეტალური ანალიზი და აღდგენადი პლანტაციების გამოვლენა; • ვეტერინალური მომსახურეობის და ხელოვნური განაყოფიერების ეფექტური სისტემის შექმნა; • სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის პოტენციალი; • ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის აქტუალიზაცია; • ტურისტებში გაზრდილი ცნობადობა კურორტ დაბა ბახმაროსა და მუნიციპალიტეტის სხვა ტურისტული პოტენციალის შესახებ; • მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის შექმნა; • საერთაშორისო დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი; • ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე; • კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა; • ფლორის სხვადასხვა მავნებელ დაავადებათა გავრცელება; • მიგრაციის მაღალი დონე; • მოსახლეობის ფართომასშტაბიან ჯანმრთელობასთან და ეკიდემიებთან, პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები.

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები, ამოცანები

2.1. ხედვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილია ცხოვრებისათვის ჯანსაღი, თანასწორუფლებიანი, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებზე დამყარებული, სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული გარემო, ჩოხატაური გამორჩეულია ეროვნული და ადგილობრივი ტრადიციებით, განათლებული ახალგაზრდებით, მოწესრიგებული შიდა და საკურორტო ინფრასტრუქტურით, განვითარებული სოფლის მეურნეობით და ტურიზმით, ეფექტურად ათვისებული ბუნებრივი რესურსებით და შესაძლებლობებით.

2.2. მიზანი და ამოცანები

მიზანი 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ამოცანა 1.1. საგზაო ინფრასტრუქტურისა და გარე განათების სისტემის გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობა

ამოცანა 1.2. წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია

ამოცანა 1.3. დაბის ცენტრის განვითარება;

ამოცანა 1.4. ტურისტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა

ამოცანა 1.5. კულტურის ობიექტებისა და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მიზანი 2. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება;

ამოცანა 2.2. სოფლის მეურნეობის დარგში მოსახლეობის უნარების და კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა

ამოცანა 2.3. სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკისა და ინვენტარის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 2.4. სასათბურე და სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა

ამოცანა 2.5. მოსახლეობის კონსულტირება და ინფორმირება არსებული სოციალური და ეკონომიკური მიკრო პროგრამების და სერვისების შესახებ

ამოცანა 2.6. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 2.7. საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ამოცანა 2.8. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანა 2.9. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება და წარმოების ტრადიციული მეთოდებით ხალხური რეწვის ოსტატთა წახალისება

მიზანი 3. მუნიციპალიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი ცნობადობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების მხარდაჭერა და განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 3.1. კულტურულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანა 3.2. მუნიციპალიტეტის კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება/გამოყენების ხელშეწყობა გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილეობით

ამოცანა 3.3. ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანა 3.4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 3.5. მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 4. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ამოცანა 4.1. საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამებისა და სერვისების განხორციელება

ამოცანა 4.2. გრძელვადიანი სოციალური სერვისების დანერგვა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გაძლიერების მიზნით

ამოცანა 4.3. მოსახლეობის ინფორმირება ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ

ამოცანა 4.4. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ გათვალისწინებით ბავშვთა განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების ხელშეწყობა (პოზიტიური მშობლობა, პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი სისტემის დანერგვა)

მიზანი 5. გარემოს დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში

ამოცანა 5.1. ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 5.2. „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP)“ განხორციელება;

ამოცანა 5.3. მდინარეებზე წყალმოვარდნების რისკების მართვის მიზნით ნაპირსამაგრის მოწყობა

ამოცანა 5.4. ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება

მიზანი 6. მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების დანერგვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა

ამოცანა 6.1. ელექტრონული მმართველობის განვითარება და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა 6.2. სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება თვითმმართველობის საქმიანობაში

ამოცანა 6.3. მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (PA ინდექსი) ინდექსის გაუმჯობესება

2.3. ლოგიკური ჩარჩო

<p>ხედვა</p>	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილია ცხოვრებისათვის ჯანსაღი, თანასწორუფლებიანი, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებზე დამყარებული, სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული გარემო, ჩოხატაური გამორჩეულია ეროვნული და ადგილობრივი ტრადიციებით, განათლებული ახალგაზრდებით, მოწესრიგებული შიდა და საკურორტო ინფრასტრუქტურით, განვითარებული სოფლის მეურნეობით და ტურიზმით, ეფექტურად ათვისებული ბუნებრივი რესურსებით და შესაძლებლობებით.</p>				
<p>მიზანი 1:</p>	<p>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია</p>	<p>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი</p>			<p>მიზანი 6. სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 8. ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა მიზანი 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>
<p>გავლენის ინდიკატორი 1.1:</p>	<p>რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის წილი მუნიციპალიტეტის მთლიან ინფრასტრუქტურაში</p>	<p>საბაზისო</p>	<p>სამიზნე</p>		<p>დადასტურების წყარო</p>
			<p>შუალედური</p>	<p>საბოლოო</p>	
<p>წელი</p>		<p>2023</p>	<p>2025</p>	<p>2027</p>	<p>https://chokhatauri.gov.ge</p>
<p>მაჩვენებელი</p>		<p>40%</p>	<p>50%</p>	<p>70%</p>	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში</p>
<p>ამოცანა 1.1:</p>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურისა და გარე განათების სისტემის გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობა</p>				
<p>ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:</p>	<p>რეაბილიტირებული გზების რაოდენობა მუნიციპალიტეტის გზების საერთო რაოდენობაში</p>	<p>საბაზისო</p>	<p>სამიზნე</p>		<p>დადასტურების წყარო</p>
			<p>შუალედური</p>	<p>საბოლოო</p>	
<p>წელი</p>		<p>2023</p>	<p>2025</p>	<p>2027</p>	<p>https://chokhatauri.gov.ge</p>
<p>მაჩვენებელი</p>		<p>60%</p>	<p>70%</p>	<p>80%</p>	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში</p>
<p>რისკები</p>	<p>კლიმატური პირობები; პროექტის შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება</p>				
<p>ამოცანა 1.2:</p>	<p>წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია</p>				
<p>ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:</p>	<p>ა. მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემის წილი; ბ. დაბაში რეაბილიტირებული საკანალიზაციო ქსელის წილი</p>	<p>საბაზისო</p>	<p>სამიზნე</p>		<p>დადასტურების წყარო</p>
			<p>შუალედური</p>	<p>საბოლოო</p>	
<p>წელი</p>		<p>2023</p>	<p>2025</p>	<p>2027</p>	<p>https://chokhatauri.gov.ge</p>
<p>მაჩვენებელი</p>		<p>20%</p>	<p>15%-იანი ზრდა</p>	<p>30%-იანი ზრდა</p>	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში;</p>
<p>წელი</p>		<p>0</p>	<p>20%</p>	<p>100%</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>
<p>რისკები</p>	<p>პროექტის შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება</p>				
<p>ამოცანა 1.3:</p>	<p>დაბის ცენტრის განვითარება</p>				

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	დაბაში რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა	წელი	საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
		2023	2023	2025	2027	https://chokhatauri.gov.ge
		მაჩვენებელი	10 ობიექტი	10 ობიექტი	10 ობიექტი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
რისკები	პროექტის შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება					
ამოცანა 1.4:	კურორტსა და ტურისტულ ადგილებში ინფრასტრუქტურის მოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:	რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის საერთო რაოდენობა	წელი	საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
		2023	2023	2025	2027	https://chokhatauri.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	3	9 ინფრასტრუქტურული პროექტი	11 ინფრასტრუქტურული პროექტი	
რისკები	პროექტის შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება					
ამოცანა 1.5:	ადმინისტრაციულ ცენტრებში კულტურის ობიექტებისა და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:	ადმინისტრაციულ ერთეულების რაოდენობა, სადაც მოწყობლია დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა	წელი	საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
		2023	2023	2025	2027	https://chokhatauri.gov.ge
		მაჩვენებელი	8	29	35	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
რისკები	პროექტის შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება					
მიზანი 2:	ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:			მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	
